# როგორ შევამოწმოთ ვებ-გვერდის სანდოობა? 5

მედია თავისი საქმიანობის პროცესში სხვადასხვა ელექტრონულ რესურსს ეყრდნობა. თუმცა, ყველა ვებ-პორტალი როდია სანდო. იმისთვის, რომ გადაამოწმოთ მისი სანდოობა, რეგისტრაციის ადგილი და სხვა აუცილებელი რეკვიზიტები, ისარგებლეთ ვებ-გვერდით www.scamadviser.com.

## მაგალითი 1: საეჭვო ვებ-გვერდის გადამოწმება

2016 წლის 28 მარტს გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ გაავრცელა ყალბი ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ინგლისური ფირმა Human Leather ადამიანის ტყავისგან ტანსაცმელს ამზადებდა. ერთადერთი წყარო, რომელიც მსგავსი კომპანიის არსებობას ადასტურებდა, 2008 წელს დარეგისტრირებული ვებ-საიტი humanleather.co.uk-ი იყო.




აღნიშნული საიტის სანდოობა camadviser.com-ის მეშვეობით გადავამოწმეთ. შედეგად გაირკვა, რომ საიტის სანდოობაა რისკის შემცველად არის მიჩნეული.




ამასთანავე, აღნიშნული პლატფორმა, ვების რეგისტრაციის ადგილის დადგენის შესაძლებლობასაც იძლევა. როგორც გაირკვა, საიტი აშშ-შია დარეგისტრირებული, თუმცა შესაძლოა მისი მფლობელი ინდოეთში იმყოფებოდეს, თავად საიტი კი არაერთ მომხმარებელს აქვს „დარეპორტებული“.

წყარო:
მითების დეტექტორი